პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1973 წ.
№ 5 (4775) 9 იანვარი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ერთთვიური

23 იანვრიდან 23 თებერვლამდე საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებში ჩატარდება თავდაცვით-მასობრივი მუშაობის საკავშირო ერთთვიური, რომელიც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 55-ე წლისთავს ეძღვნება. ეს 5 იანვარს გადაწყვიტეს საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურომ.

ერთთვიურის მიზანია სამხედრო ნაწილებთან და ქვეგანაყოფებთან პროფკავშირული, კომკავშირული და დოსააფის ორგანიზაციების კავშირის განმტკიცება, ახალგაზრდებისთვის სამხედრო საქმის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ახალგაზრდებს შორის საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი სიყვარულისა და სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის შეგნების გაღვივება. ერთთვიური ხელს შეუწყობს პროფკავშირული, კომკავშირული და დოსააფის ორგანიზაციების თავდაცვით-მასობრივი და სამხედრო-პატრიოტული მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში მათი ღვაწლის გაზრდას.

პროფკავშირის საბჭოებსა და კომიტეტებს, კომკავშირისა და დოსააფის პირველადს ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ გააძლიერონ სამხედრო-პატრიოტული პროპაგანდა, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება თავდაცვით-მასობრივ მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისთვის.

გადაწყდა საზოგადოება „ცოდნის“ განყოფილებათა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მონაწილეობით მოეწყოს ლექციები, მოხსენებები და საუბრები საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გმირულ ტრადიციებზე, ლენინური კითხვა სამხედრო-პატრიოტულ თემებზე, საბრძოლო დიდების საღამოები.

კომკავშირის კომიტეტებს, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერულ ორგანიზაციას წინადადება ეძლევათ ერთთვიურის დღეებში აქტიურად ჩაატარონ სამხედრო-სპორტული თამაშების „ორლიონოკისა“ და „ზარნიცას“ ღონისძიებები, მოაწყონ ლენინური კითხვა თემაზე — „სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია“, საზეიმო შეკრებები, პიონერული ხაზები, სიმამაცის გაკვეთილები, ნორჩ მოდელისტთა ნამუშევრების დათვალიერება. 23 თებერვალს საბჭოთა მეომართა ძეგლებთან მოეწყობა საპატიო ვახტები, კომკავშირელთა, პიონერთა და მოსწავლეთა ყარაული.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 55-ე წლისთავს მიეძღვნება შეჯიბრებები სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში.

ბიშოფსჰოფენის ტრამპლინზე

დამთავრდა „მფრინავ მოთხილამურეთა“ ტრადიციული საახალწლო „ოთხი ტრამპლინის ტურნე“, რომლის ბოლო შეჯიბრებასაც ბიშოფსჰოფენის (ავსტრია) ტრამპლინი მასპინძლობდა. აქ ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა რ. ჰენლიმ, რომელიც ორივეჯერ 101 მეტრზე გადახტა და 234,6 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გასული მოსკოველი ს. ბოჩკოვი (100 და 101,5 მ) გამარჯვებულს 1,2 ქულით ჩამორჩა. ამან ბოჩკოვს საშუალება მისცა ოთხივე ტრამპლინზე გამართულ შეჯიბრებათა ჯამში 874,2 ქულა მოეგროვებინა და საერთო III ადგილი დაესაკუთრებინა. I და II ადგილები წილად ხვდათ გდრ-ის მფრინავ მოთხილამურეებს რ. შმიდტსა — (914,4) და ჰ.-გ. აშენბახს (897,5).

გუნდურ ტურნირშიც პირველობა გდრ-ის ნაკრებს (2705,9 ქულა) ხვდა წილად. II ადგილზე გავიდნენ შვეიცარიის—(2524,9), III — ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები (2462,9). სსრ კავშირის ნაკრებმა IV ადგილი დაიკავა — 2438,2.

0,28 წამით

სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასისთვის მორიგი ბრძოლა იუგოსლავიაში, მარიბორის მიდამოებში ჩატარდა. აქ უნდა მოწყობილიყო სპეციალური და გიგანტური სლალომი. თოვლის უკმარობის გამო საერთაშორისო მოთხოვნების შესაფერი გიგანტური სლალომის ტრასის გაკეთება არ მოხერხდა და ამიტომ ქალთა შეჯიბრება მარტო სპეციალურ სლალომში ჩატარდა.

530-მეტრიან ტრასაზე, რომლის სიმაღლეთა სხვაობა 180 მეტრს უდრიდა, 55 და 54 კარი მოეწყო. ორი ცდის ჯამში ყველას აჯობა 16 წლის მოსწავლემ პ. ემონემ (საფრანგეთი) — 1.57,34. დასავლეთგერმანელ პ. ბერს მან სულ რაღაც 0,28 წამით აჯობა. III ადგილზე გავიდა რ. მიტერმაიერი (გფრ) — 1.58,42.

შეჯიბრება იმდენად დაძაბული იყო, რომ 70 მონაწილეში ასპარეზობა მხოლოდ თოთხმეტმა დაამთავრა. ხელმოცარულთა შორის აღმოჩნდნენ მსოფლიო თასის მფლობელი ა. პრიოლი (ავსტრია) და ამ სახეობაში საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონი, ამერიკელი ბ. კოკრანი.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

პირველი მარცხი სტუმრად

ლენინგრადი, 8 იანვარი. „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა მატჩმა ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დარბაზი, სადაც შეხვედრა ჩატარდა, ამ სეზონში პირველად გაივსო მაყურებლით. ლენინგრადელთა ინტერესს ამ მატჩისადმი უთუოდ აქვს გამართლება. ჯერ ერთი, თბილისის „დინამო“ ჩვენს ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს და გულშემატკივართა გარკვეულ ნაწილში თანამოაზრენიც ჰყავს. მაგრამ მთავარი ეს როდია.

გასული საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა წლევანდელი ტურნირი უფერულად დაიწყო და სტარტზევე ორი მარცხი იწვნია. მაშინ ლენინგრადელთა თამაშს არ ხელმძღვანელობდა მწვრთნელი ვ. კონდრაშინი — ავად იყო. ბოლო ორ მატჩში კი კონდრაშინი დაუბრუნდა გუნდს და „სპარტაკმაც“ ახლებურად დაიწყო თამაში. გულშემატკივრებმა საყვარელი გუნდისკენ ისევ იბრუნეს პირი.

ასეთი იყო ამ მატჩის წინაპირობა. ორი პოპულარული კლუბის ბრძოლას ლენინგრადი მოუთმენლად ელოდა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მოლოდინი არ გამართლდა. ვერც გამარჯვებულმა და ვერც დამარცხებულმა ვერ გვიჩვენეს მათთვის დამახასიათებელი თამაში — ტემპიანი, აგრესიული, მაღალტექნიკური.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში ბრძოლა თანაბარი იყო, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ „სპარტაკი“ ბოლოს და ბოლოს გატეხდა დინამოელთა სიმტკიცეს. ალბათ გაინტერესებთ რატომ. იმიტომ, რომ ძირითადი დასაწყისშივე დაშავდა და „სპარტაკის“ ცენტრალური თავდამსხმელი დვორნი ფაქტიურად უმეთვალყუროდ დარჩა. გაიხსენეთ II ტაიმი, რომელიც ცენტრალური ტელევიზიით გადაიცა. დვორნი, ფაქტიურად, დაუბრკოლებლად გადიოდა თბილისელთა ფარქვეშ და ქულას ქულაზე აგროვებდა. საბოლოოდ მან თავის კოლექტივს 29 ქულა შესძინა და გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ წარმატებაში.

რა თქმა უნდა, ერთი თავდამსხმელის დაშავებამ ასე არ უნდა შეცვალოს გუნდის თამაშის ხარისხი. არ უნდა შეცვალოს, მაგრამ შეცვალა. „დინამომ“ დაკარგა თავისი ძირითადი საბრძოლო იარაღი — სწრაფი შეტევა, უბრძოლველად დათმო ორთავე ფარის მისადგომები და ამით უარი თქვა აქტიურ ბრძოლაზე. გუნდმა თვითონვე გამოუტანა თავის თავს განაჩენი და ადრევე შეურიგდა მარცხს.

სპარტაკელები? არც ისინი ბრწყინავდნენ მაინცდამაინც. ყოველ შემთხვევაში, ვერცხლის პრიზიორი ჯერ კიდევ შორსაა თავისი საუკეთესო ფორმისგან, მაგრამ მისი გუშინდელი თამაში სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის.

ორიოდე სიტყვა თვით თამაშზე. მაღალი კლასის კალათბურთზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია. მატჩი უაღრესად ნერვულად მიმდინარეობდა და ამიტომაც უშვებდნენ კალათბურთელები ამდენ შეცდომებს. შეხვედრა ფაქტიურად, ახალგაზრდებმა დაამთავრეს. წამყვანი კალათბურთელები კი სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. ყველას 5-5 ჯარიმა ჰქონდა მიღებული.

თამაში, რა თქმა უნდა, არ გამოვიდა, მაგრამ ლენინგრადელებმა მეტად საჭირო ქულა აიღეს და ამით უთუოდ კმაყოფილები არიან. რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, მან პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოს ფსიქოლოგიური მომზადების ხარისხს. ერთმა დანაკლისმა, ერთმა დაშავებულმა მოთამაშემ ბრძოლის უნარი არ უნდა დაუკარგოს მთელს კოლექტივს.

ე. სმირნოვი.
(ჩვენი. კორ.).

* * *

„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი) 75:62 (40:34). დუბლიორები — 88:66 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

● ●

92:69

მინსკი, 7 იანვარი. გუშინ აქ გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა მორიგი ტურის მატჩი. საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტმა, ადგილობრივმა რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივმა უმასპინძლა სსრ კავშირის ჩემპიონს — ცსკა-ს.

სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო. ცსკა-მ გაიმარჯვა—92:69.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი“	7	7	0	590—504	7
ცსკა	8	6	2	670—587	6
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	7	5	2	495—441	5
„დინამო“ (თბ.)	7	5	2	496—482	5
„დინამო“ (მოს.)	6	3	3	463—457	3
„სტროიტელი“	7	3	4	488—509	3
ასკ (კიევი)	6	2	4	362—414	2
რტი	7	2	5	481—529	2
„კალევი“	6	1	5	401—455	1
„სპარტაკი“ (ვოროშილოვგ.)	7	0	7	481—549	0

ახალი ამბავი-73

● ბოხინი, 8 იანვარი. იუგოსლავიის ამ სამთო კურორტის მიდამოებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია მოთხილამურეთა დიდმა საერთაშორისო შეჯიბრებამ. 15 კილომეტრზე რბოლაში წარმატებით იასპარეზა ახალგაზრდა ულიანოვსკელმა სპორტსმენმა ს. ვალიულინმა (54.54,2), რომელიც მხოლოდ შვეიცარიელ კ. ლოტშერს ჩამორჩა. გამარჯვებულის დრო 54.19,7. III ადგილზე გავიდა დასავლეთგერმანელი ვეტერანი ვ. დემელი — 55.00.

კარლო ყრუაშვილი იტალიაში მიემგზავრება

დღეს თბილისიდან მოსკოვში, ფიფა-ს შტაბ-ბინიდან (ციურიხი) მიღებულ მიწვევასთან დაკავშირებით, გაფრინდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კარლო ყრუაშვილი, რომელიც 18 იანვარს იტალიაში მოსკოველ არბიტრებთან პ. კაზაკოვთან და ვ. რუდნევთან (მსაჯები ხაზზე) ერთად იმსაჯებს მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის ევროპის მეორე შესარჩევი ჯგუფის მატჩზე იტალიისა და თურქეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

ტელეტაიპის ლენტიდან

ჰოკეი. ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი ტურნეს ბოლო მატჩში მოსკოვის ნაკრების ჰოკეისტებმა დაამარცხეს მასპინძელთა პროფესიული გუნდი „პორტლენდ ბაკარუზი“ — 11:4 (3:4, 3:0, 5:0).

მას შემდეგ, რაც „აჰერნის თასი“ სპარტაკელებმა მოიპოვეს, „პოლარული პრიზი“ კი ვოსკრესენსკის „ხიმიკს“ ხვდა, წარმატებით გამოვიდნენ მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ ჰოკეისტებიც, რომელთაც „ვარსკვლავების თასის“ გათამაშებაში I ადგილი დაისაკუთრეს. გადამწყვეტ შეხვედრაში „კრილია სოვეტოვმა“ დაამარცხა შვეციის მრავალგზის ჩემპიონი „ბრიუნესი“ — 4:3 (0:2, 2:1, 1:0, 1:0).

„სპარტაკმა“ უკვე „აჰერნის თასზე“ შეჯიბრებაში გამარჯვებულის რანგში დაამარცხა სტოკჰოლმში კანადის მოყვარულთა გუნდი ბრიტანეთის კოლუმბიიდან — 10:5 (2:2, 3:2, 5:1).

ციგურებით სწრაფრბენა. „მედეოს“ მაღალმთიან საციგურაოზე 24 წლის ლენინგრადელმა ა. ციგანკოვმა კვირას სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე — 2.01,3. სვერდლოვსკელმა ი. კონდაკოვმა, მოსკოველმა ე. ლეპიოშკინმა და პავლოდარელმა ვ. ბარაბაშმა ამ დისტანციაზე აჯობეს ძველ რეკორდს, რომელიც 2.03,4 იყო.

შაბათს ციგანკოვმა 0,1 წამით გააუმჯობესა ა. სხენკის მსოფლიო რეკორდი 3000 მეტრზე, 4.08,2 აჩვენა. სამწუხაროდ, ეს შეჯიბრება საერთაშორისო ფედერაციის სიაში შეტანილი არ არის და რეკორდიც არ ჩაითვლება.

ციგანკოვმა სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა მცირე მრავალჭიდის ჯამში — 167,420 ქულა. 1969 წელს ი. მალიხინის მიერ დამყარებული რეკორდი 173,436 ქულა იყო.

ერთბაშად 0,6 წამით გააუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი 500-მეტრიან დისტანციაზე ომსკელმა ვ. კრასნოვამ. ახლა მიღწევა 42,6 წამია. ალმა-ათის საქალაქო ალმასკომის პრიზები მოიგეს ა. ციგანკოვმა, მოსკოველმა ვ. შჩადილოვმა, სმოლენსკელმა ლ. სადჩიკოვამ და ლენინგრადელმა ნ. სტატკევიჩმა.

* * *

ინცელში დამთავრდა ციგურებით სწრაფრბენაში ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების — ოთხი საციგურაოს ტურნეს I ეტაპი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 12 ქვეყნის წარმომადგენლები. პირველ დღეს 500 მეტრზე გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. კომაროვმა — 39,99. 1000 მეტრზე პირველი იყო ვ. მურატოვი — 1.23,19. მეორე დღეს სპრინტერულ დისტანციებზე სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. შეჯიბრების საუკეთესო დროით გაიმარჯვა საპოროს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ ვ. მურატოვის უმცროსმა ძმამ, 19 წლის იურიმ — 39,41. მეორე იყო ვ. მურატოვი — 39,56. III ადგილზეა ვ. კაშეი — 39,65. 1000 მეტრზე კვლავ გამოიჩინა თავი ი. მურატოვმა — 1.21,86. აქ კვლავ მეორე იყო გამარჯვებულის სახელგანთქმული ძმა ვალერი — 1.21,98.

ჭადრაკი. ინგლისის ქალაქ ჰასტინგსში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ათი ტურის შემდეგ ლიდერობს დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი. მას 7 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება დიდოსტატი ვ. ულმანი (გდრ), 1 ქულით — ინგლისელი ვ. ჰარტსტონი. ულმანს ერთი გადადებული პარტია აქვს, ჰარტსტონს—ორი. საბჭოთა დიდოსტატმა ვ. ტუკმაკოვმა დაამარცხა ავსტრალიელი ვ. ბრაუნი და 5 ქულა დააგროვა, ხოლო ერთი პარტია ჯერ არ დაუმთავრებია. სმისლოვმა მოუგო ინგლისელ რ. ვეიდს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უნგრელ გ. ბარცასთან, ახლა მას 4,5 ქულა აქვს.

სურათზე: ვ. კრასნოვა.
ვ. კლიმოვიჩის ფოტო.

პირველი ნაბიჯი გადაიდგა

[illegible]

ვ. ხევრიუკოვა,
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის განყოფილების ინსპექტორ-მეთოდისტი.

სურათზე: მ. ალიაკრინსკაია ახტომის დროს.
ო. გელაშვილის ფოტო.

საქართველოს რეკორდები

მძლეოსნობა

1973 წლის
1 იანვრისთვის

17-18 წლის ჭაბუკები და ქალიშვილები

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
ქალიშვილები			
რბენა			
100 მ	11,7	ნ. ხნიკინა (თბილისი)	1962
200 მ	24,6	ნ. ხნიკინა (თბილისი)	1962
400 მ	57,6	ლ. ფარსაძე (თბილისი)	1971
800 მ	2.16,6	მ. მეტრეველი (თბილისი)	1971
1500 მ	4.40,0	საჭიროა ნორმატივი	
ბარიერრბენი			
100 მ	14,2	ს. ხრიაკოვა (თბილისი)	1971
200 მ	29,6	მ. ალიაკრინსკაია (თბილისი)	1970
ესტაფეტა			
4×100 მ	47,6	საქართველოს ნაკრები	1972
4×400 მ	3.55,2	საქართველოს ნაკრები	1971
ხტომა			
სიგრძეზე	598	ლ. იშველევა (თბილისი)	1968
სიმაღლეზე	177	მ. ალიაკრინსკაია (თბილისი)	1972
ტყორცნა			
ბადრო	50,56	ნ. ლაბაძე (თბილისი)	1972
შუბი	45,10	დ. საბაური (თბილისი)	1967
ბირთვი	13,43	ლ. ხესაძე (თბილისი)	1965
ხუთჭიდი	3933	ს. ხრიაკოვა (თბილისი)	1971
ჭაბუკები			
რბენა			
100 მ	10,6	ვ. კაკაურიძე (თბილისი)	1972
200 მ	21,8	თ. აჯროევი (თბილისი)	1972
400 მ	49,1	ი. ვაშალომიძე (მახარაძე)	1972
800 მ	1.55,5	ბ. ტემნიკი (თბილისი)	1971
1500 მ	4.00,4	ი. ცანავა (თბილისი)	1966
3000 მ	8.42,8	ლ. ტიტოვი (ქუთაისი)	1967
5000 მ	15.30,8	ბ. ხუშაცარია (თბილისი)	1971
2000 მ წინაღობებით	6.03,2	ი. არჯევანიძე (თბილისი)	1971
ესტაფეტა			
4×100 მ	41,0	საქართველოს ნაკრები	1972
4×400 მ	3.22,0	საქართველოს ნაკრები	1971
ბარიერრბენი			
110 მ	14,7	ზ. ვეშაგურიძე (თბილისი)	1972
400 მ	56,7	ი. ინდრიაკოვი (თბილისი)	1970
ხტომა			
სიგრძეზე	742	ვ. სანეევი (სოხუმი)	1964
სიმაღლეზე	206	ბ. არესნოვი (თბილისი)	1971
სამხტომი	15,32	ლ. ხლიბოვი (სოხუმი)	1971
ჭოკით	440	ს. მანჩუკოვი (თბილისი)	1971
ტყორცნა			
ბადრო	47,41	ზ. გუდაშვილი (დუშეთი)	1969
შუბი	68,12	ნ. ზვიადაური (თიანეთი)	1968
ურო	55,47	ჯ. ჩხაიძე (თბილისი)	1969
ბირთვი	17,17	შ. ხმელიძე (თბილისი)	1972
სპორტული სიარული			
10 კმ	46.55,0	ზ. მალაზონია (თბილისი)	1970
ათჭიდი	7022	ლ. ბოლქვაძე (თბილისი)	1972

„დინამოს" პირველობაზე

[illegible]

ახალი წლის აღსანიშნავად

[illegible]

ი. თოდრია.

სპორტული ასპინძა

[illegible]

* * *

[illegible]

* * *

[illegible]

ვ. ცინაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

[illegible]

ტყიბული

[illegible]

ბ. ალექსიშვილი.

განა ეს ფანტასტიკური წამოწყებაა?

[illegible]

ა. ბოგელია,
სპორტის ოსტატი.

ცურვა ჩვილ ბავშვებსაც შეუძლიათ

[illegible]

ს. ბურჯი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

[illegible]

საუბარი ჩაიწერა
ა. ელენაიძე.

თბილისის „დინამო“ 1972 წელს

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 1972 წლის საკავშირო ჩემპიონატში შეინარჩუნეს წინა წელს მოპოვებული ბრინჯაოს მედლები.

თბილისელებმა დაიგროვეს იმდენივე ქულა (35), რაც მათმა კიეველმა თანაკლუბელებმა, მაგრამ უკრაინელებს ბურთების ბალანსში ჩამორჩნენ. საერთოდ, მარტო ამ მაჩვენებლით თბილისელებს V ადგილი უჭირავთ „ზარიას“, კიევის „დინამოს“, „არარატისა“ და „ზენიტის“ შემდეგ.

საკუთარი და მეტოქის მინდვრის ფაქტორს თბილისის „დინამოსთვის“ კვლავინდებურად სერიოზული მნიშვნელობა აქვს. სულ დაგროვილი 35 ქულიდან თბილისელებმა 25 შინ აიღეს, სტუმრად კი მხოლოდ 10, შინ 10 მატჩი მოიგეს, სტუმრად — სულ 2. თავის მინდორზე „დინამოს“ არ წაუგია არც ერთი თამაში, სტუმრად კი წააგო. თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, დინამოელებმა მეტოქეთა კარში გაიტანეს 26 ბურთი, ხოლო სტუმრად — 15 და, პირიქით, დ. გოგიას კარი, რომელმაც შეუცვლელად ჩაატარა ოცდაათივე მატჩი, შინ სულ 7-ჯერ იქნა აღებული, სტუმრად კი 27-ჯერ. დამაფიქრებელი ციფრებია!

ყველაზე კარგად თბილისის „დინამომ“ ითამაშა IV-VIII ტურებში, როცა ზედიზედ 5 მოგება ჩაიწერა, სამაგიეროდ, XIII-XVII ტურებში გუნდმა 8 ქულა დაკარგა 10-დან. XIX-XXII ტურებში თბილისელებმა ზედიზედ 4 ფრე გააკეთეს.

თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით ჩატარებულ მატჩებში სულ 4 პენალტი დაინიშნა. კიევში ჩვენი გუნდის კარში გოლი 11-მეტრიანით გაიტანა მუნტიანმა, ლენინგრადში — სადირინმა, ვოროშილოვგრადში კი ჟურავლიოვმა ბურთი მიზანს ააცდინა. თბილისში პეტრიაშვილმა პენალტი გაიტანა მოსკოვის „ტორპედოს“ კარში.

გატანილი ბურთებით თბილისელები IV ადგილზე არიან, გაშვებულით — IX.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე ნაკლები ბურთი ჩემპიონატის 16 მონაწილეს შორის გაუშვა გუნდმა, რომელიც საბოლოოდ XIII ადგილზე გავიდა. ესაა „ყაირათი“ — 27 ბურთი. ესე იგი, ალმაათელები საშუალოდ ერთ ბურთსაც არ უშვებდნენ მატჩში. თბილისელებმა „ყაირათს“ მის მინდორზე 2 „მშრალი“ ბურთი გაუტანეს, შინ კი ფრედ ითამაშეს — 0:0.

თბილისის დინამოელთაგან 41 გოლი გაიტანეს: გ. ნოდიამ — 8, ყიფიანმა — 7, გავაშელმა — 6, გუცაევმა — 5, პეტრიაშვილმა — 4, ასათიანმა, ძოძუაშვილმა, მ. მაჩაიძემ — 2-2, ხურცილავამ, ჭელიძემ, მჭედლიშვილმა, ლ. ნოდიამ, რეხვიაშვილმა.

თბილისის „დინამომ“ ქულათა მაქსიმუმი (4) ვერ აიღო ვერც ერთ გუნდთან, მაგრამ არც ერთ მეტოქესთან არ წაუგია ორივე წრის მატჩები.

დინამოელებმა 13 მატჩში არ გაუშვეს არც ერთი ბურთი, ცხრაში კი თვითონ ვერ შეძლეს მეტოქის კარის აღება.

ყველაზე უხვგოლიანი იყო თბილისის „დინამოს“ მატჩი „კარპატისთან“, სადაც გატანილი იქნა 6 გოლი.

სხვადასხვა

უმაღლესი ლიგის გუნდების ძირითად შემადგენლობებში სულ ითამაშა 342 ფეხბურთელმა. ყველაზე ნაკლები მოთამაშე მინდორზე გამოიყვანეს თბილისის „დინამომ“, ცსკა-მ, „ზენიტმა“ და „ტორპედომ“ — 19-19, ყველაზე მეტი — „ნეფთჩიმ“ — 27.

თბილისის „დინამოს“ მეკარემ დ. გოგიამ, როგორც აღვნიშნეთ, შეუცვლელად ჩაატარა ყველა 30 მატჩი, ბაქოელებმა კი ჩემპიონატის მსვლელობაში 4 მეკარე გამოსცადეს.

ჩემპიონატის ყველა 30 მატჩში დ. გოგიას გარდა შეუცვლელად ითამაშეს მესროპიანმა („არარატი“), შუსტიკოვმა, იურინმა (ორივე—„ტორპედო“), სლოვაკმა (მინსკის „დინამო“), დერემოვმა, ლოხოვმა (ორივე — „ზენიტი“), ესკოვმა და შერგელაშვილმა (ორივე — ასკ, დონის როსტოვი). ზემოჩამოთვლილთა გარდა ყველა 30 მატჩში, ოღონდ შეცვლით, მონაწილეობა მიიღეს ვ. კუზნეცოვმა („ზარია“), მუნტიანმა, ვერემეევმა (ორივე — კიევის „დინამო“), პახომოვმა, შალიმოვმა, სმირნოვმა, დეგტიარიოვმა (ყველა — „ტორპედო“), ბელოუსმა, ვორონინმა (ორივე — მინსკის „დინამო“), ზაგუმენიხმა, სადირინმა, ზინჩენკომ (სამივე — „ზენიტი“), ანტონოვმა (ასკ, დონის როსტოვი).

უმაღლეს ლიგაში 165 მოთამაშის მიერ სულ გატანილია 565 გოლი, აქედან 4 „ავტოგოლია“: საკუთარ კარში ბურთი გაიტანეს ლოხოვმა („ზენიტი“), პახომოვმა („ტორპედო“), ჟურავლიოვმა („ლოკომოტივი“) და ოლშანსკიმ („სპარტაკი“). ამ უკანასკნელმა შეძლო რეაბილიტირება და მეტოქის კარშიც გაიტანა ბურთი.

ყველაზე მეტი ბომბარდირი ჰყავთ თბილისელებს — 13 ფეხბურთელი, ყველაზე ცოტა — ტორპედოელებს და როსტოველებს — 7-7.

საინტერესოა, რომ დუბლიორებმა გაიტანეს იმდენივე ბურთი, რამდენიც ძირითადი გუნდების მოთამაშეებმა — 565. მათგან საუკეთესო სნაიპერია ტორპედოელი დანილენკო — 13. თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო წერეთელი — 10 ბურთი.

XXXIV ჩემპიონატის მატჩებს ემსახურებოდა 20 ქალაქის 39 არბიტრი. ყველაზე მეტ მატჩში იმსაჯა ლენინგრადელმა ვ. ალოვმა — 15. თბილისელმა გ. ბაქანიძემ და მოსკოველმა ვ. რუდნევმა ჩაატარეს 13-13 შეხვედრა. შემდეგ მოდიან ა. მილჩენკო (სოხუმი), ვ. ლიპატოვი (მოსკოვი), ტ. ბახრამოვი (ბაქო), ა. ივანოვი (ლენინგრადი), პ. კაზაკოვი (მოსკოვი) — 12-12.

შარშანდელი ჩემპიონატის პირველი გოლი 4 აპრილს გაიტანა „ყაირათის“ თავდამსხმელმა მარკინმა, ხოლო უკანასკნელი, 565-ე, ვოროშილოვგრადელმა ონიშჩენკომ.

ჩემპიონატის 240 მატჩში, როგორც ვთქვით გატანილია 565 გოლი, ესე იგი, საშუალოდ 2,35 ბურთი ყოველ თამაშში. ეს ციფრი თავისთავად პატარა არაა, მაგრამ ბომბარდირების საქმე საბჭოთა გუნდებში ვერაა კარგად. ჯერ ერთი, მხოლოდ ხუთმა თავდამსხმელმა შეძლო 10-ზე მეტი ბურთის გატანა (ბლოხინი, კოლოტოვი, ხრომჩენკოვი, ზანაზანიანი, სმირნოვი), ხოლო საუკეთესო სნაიპერი, კიეველი ო. ბლოხინი თავისი 14 გოლით დაახლოებით 70-ე ადგილზეა ევროპის საუკეთესო ბომბარდირთა შორის.

„ჰეტ-თრიკი“ (3 ბურთი ერთ მატჩში) შეასრულა მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა: მუნტიანმა (კიევის „დინამო“) და სავკამ („კარპატი“), მაგრამ შევახსენებთ, რომ 1968 წელს „ჰეტ-თრიკი“ შესრულდა 13-ჯერ, 1969 წელს — 8-ჯერ, 1970 და 1971 წლებში — 3-3-ჯერ.

ორი გოლი ერთ მატჩში შარშან 48 მოთამაშემ გაიტანა.

ტორპედოელ ვ. შუსტიკოვს, სპარტაკელ გ. ჰუსაინოვს და ზენიტელ ლ. ბურჩალკინს თითოეულს 400-ზე მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული საკავშირო ჩემპიონატებში. რეკორდსმენია შუსტიკოვი — 427 თამაში.

პენალტები

XXXIV ჩემპიონატის პირველივე დღეს, 4 აპრილს, დაინიშნა 3 პენალტი, ხოლო სულ — 54.

ყველაზე მკაცრი მსაჯი იყო კაუნასელი კ. ანძიულისი. მან 9 პენალტი დანიშნა.

როგორც ყოველთვის, მასპინძლები „წინ“ არიან 11-მეტრიანებში: მათ 35-ჯერ მიიღეს პენალტის დარტყმის უფლება, ხოლო სტუმრებმა — 19-ჯერ.

ყველაზე მეტი პენალტი დაინიშნა ცსკა-ს კარში—7. სპარტაკელთა კარში საერთოდ არ დანიშნულა პენალტი.

4-4 პენალტი აიღეს ცსკა-ს მეკარე ასტაპოვსკიმ და „ლოკომოტივის“ მეკარე მილესმა. საერთოდ, საბჭოთა მეკარეებმა შარშან 16-ჯერ აიღეს 11-მეტრიანები, ამასთან მილესმა ერთ მატჩში შეძლო ორი პენალტის მოგერიება.

54 პენალტიდან რეალიზებული იქნა 33. 16-ჯერ მეკარეებმა გამოიჩინეს თავი, დანარჩენ შემთხვევებში კი დარტყმა მიზანს აცდა.

ა. ხირაძე.

რეპლიკა

ამას წინათ „ლელოში“ გამოქვეყნებული იყო საინტერესო სტატისტიკური ცნობები თბილისის „დინამოს“ მწვრთნელთა შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ გ. ჩოხელის უფროს მწვრთნელად ყოფნისას თბილისელებმა მოიპოვეს „ენძელას“ თასი და სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ.

მაგრამ გ. ჩოხელის დროს თბილისის „დინამომ“ ჩემპიონატში III ადგილიც მოიპოვა.

ზ. ედილაშვილი.

„ფეხბურთის მეფეს“ პელეს არასდროს დაუმალავს თავისი სიმპათია თავისზე ბევრად უფრო სწრაფ, მაგრამ ჯერჯერობით ნაკლებად სახელგანთქმულ თანამემამულე ფიტიპალდისადმი, რომელიც 1972 წლის მსოფლიო ჩემპიონია № 1 ფორმულის ავტომანქანებით რბოლაში.

ფიტიპალდის ბევრი შეჯიბრების წინ მიუღია გამამხნევებელი დეპეშები პელესგან. სახელგანთქმულ ფეხბურთელს იგი იმით უხდიდა მადლობას, რომ ბრაზილიაში ყოფნის დროს „სანტოსის“ არც ერთ თამაშს არ აცდენდა და თავის მხრივ ამხნევებდა პელეს.

ამ ცოტა ხნის წინ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და ალბათ სალაპარაკოც ბევრი ჰქონდათ. ვინაიდან ასეთ შეხვედრას არ შეიძლებოდა ფოტორეპორტიორებიც არ დასწრებოდნენ, დღეს საშუალება მოგვეცა წარმოგვედგინა ეს ორი სპორტსმენი ერთმანეთის როლებში. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ როგორ ადგამს თავის გვირგვინს პელე ფიტიპალდის. თავის მხრივ, ვალში არც ფიტიპალდი დარჩა. მან თავისი სპეცტანსაცმელი ჩააცვა პელეს, თვითონ კი ფეხბურთელის მაისურში გამოეწყო. ორივემ სარბოლო მანქანასთან გადაიღო სურათი, რომელსაც ქვევით ხედავთ. საერთოდ კი, რასაკვირველია, მსოფლიოს სპორტისთვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ პელე და ფიტიპალდი სინამდვილეში როლებს არ გაცვლიან და ამ ხუმრობას დასჯერდებიან.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

იუგოსლაველთა გასტროლები

ბელგრადში გამოცხადდა, რომ იუგოსლავიის ჩემპიონატის ზამთრის არდადეგების დროს ეროვნული ნაკრები გაემგზავრება ამერიკაში. 21 იანვარს იუგოსლაველები ითამაშებენ მექსიკის ნაკრებთან, 24-ში — პერუელებთან, 27-ში—პარაგვაელებთან, 1 და 4 თებერვალს — არგენტინელებთან და 7 თებერვალს — ურუგვაელებთან.

● ●

„კეპეშ შპორტის“ პრიზზე

25-27 იანვარს უნგრული გაზეთი „კეპეშ შპორტი“ ქ. მიშკოლცში აწყობს ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის, უნგრეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები.

ევროპის ნაკრებში მიწვეული არიან იაშინი, ნეტო, ვორონინი (სსრ კავშირი), მასოპუსტი, პლუსკალი (ჩეხოსლოვაკია), მეტიუზი (ინგლისი), კოლევი (ბულგარეთი), ჰანაპი (ავსტრია), ფ. ვალტერი, ზეელერი (გფრ), რემეტერი, ფონტენი, კოპა (საფრანგეთი), კუბალა, ჰენტო, სანტამარია (ესპანეთი), ნორდალი, ჰამრინი (შვეცია) და სხვები.

უნგრეთის ნაკრებში ითამაშებენ — გროშიჩი, ლორანტი, ბოჟიკი, ბუდაი, ჰიდეგკუტი, ტიხი, სუსა, მახოში, ბალოტაში, მესეი, მატრაი და სხვანი, ხოლო იუგოსლავიის ნაკრებში — ბეარა, შიაკოვიჩი, ზებეცი, ხორვატი, ჩაიკოვსკი, მიტიჩი, მილუტინოვიჩი, ვუკასი, ბობეკი და სხვა გამოჩენილი ოსტატები.

კატერიკის პროექტი

„ევერტონის“ მენაჯერმა ჰ. კატერიკმა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას მიმართა პროექტით ეროვნული ჩემპიონატის ვადების შეცვლის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ზამთარი ბრიტანეთის კუნძულზე სრულიად შეუფერებელი დროა ფეხბურთისთვის, უამრავი შეხვედრა იშლება უამინდობის გამო, ამიტომ ჩემპიონატი ადრე გაზაფხულზე უნდა დაიწყოს და დამთავრდეს გვიან შემოდგომით.

კატერიკის წინადადებამ გაცხოველებული დისკუსია გამოიწვია.

● ●

ინგლისი — იტალია

ინგლისისა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციებს შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, მოეწყობა 2 მატჩი ამ ქვეყნების ნაკრებ გუნდებს შორის.

14 ივნისს მეტოქეები ითამაშებენ რომში. ეს მატჩი ეძღვნება იტალიის ფეხბურთის ფედერაციის 75 წლისთავს. მეორე შეხვედრა გაიმართება ლონდონში 14 ნოემბერს.

● ●

დისკვალიფიკაცია ერთი წლით

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია მკაცრ ღონისძიებებს მიმართავს დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ნაკრების ფეხბურთელებიც კი ხშირად გამომწვევად იქცევიან და არ ეპუებიან მსაჯებს, ამიტომ მიღებულია გარკვეული ზომები უხეში მოთამაშეების წინააღმდეგ. „კრუზეიროსა“ და ეროვნული ნაკრების მცველ ევერალდოს ერთი წლით აეკრძალა თამაში. იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს ნაკრების ტურნეში ევროპაში, რომელიც ზაფხულში გაიმართება. საქმე ისაა, რომ „კრუზეიროსა“ და „გრემიოს“ შეხვედრისას ევერალდო არ დაეთანხმა მსაჯს, რომელმაც 11-მეტრიანი დანიშნა „კრუზეიროს“ კარში და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

10 იანვარს

თბილისში, ძალოსნობის ცენტრალური დარბაზის მეთოდკაბინეტში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) გაიმართება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის სხდომა.

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და შაბათისა.

რედაქციის მისამართი: ინდექსი 380008, თბილისი 8, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები — რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი—93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამგეობა — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

[ИНДЕКС 66448] საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 04411]